პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 301 (10077) | სამშაბათი, 21 დეკემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს სრულდება 75 წელი ლენინის უკვდავი საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადებიდან.**

# ლენინ—სტალინის დიადი, უძლეველი დროშით!

დღეს საბჭოთა ქვეყნის ხალხები, მსოფლიოს ყველა მშრომელნი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ ლენინის უკვდავი საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 75 წლისთავს.

ი. ბ. სტალინის სახელი განუზომლად ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისა და ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის. მთელი თავისი მგზნებარე სიცოცხლე სტალინმა მოახმარა ექსპლოატატორთა ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

დიდი სტალინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად დაკავშირებულია სახელოვანი კომუნისტური პარტიის ისტორიასთან, მის გმირულ ბრძოლებთან ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის.

მშობლიური სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო მაშინ, როცა გენიალური ლენინი ტიტანურ ბრძოლას ეწეოდა იმისათვის, რომ შეექმნა ახალი ტიპის მარქსისტული პარტია — ჩვენი ეპოქის გონება, სინდისი და პატიოსნება. თავისი დიადი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე სტალინი გამოდის როგორც ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი. სტალინი დაუღალავად ეხმარებოდა ლენინს ჩვენი სახელოვანი პარტიის შექმნაში, აწრთობდა მას ლენინიზმის ყველა მტრის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

გენიალური ლენინის მიერ შექმნილმა და ბრძოლებში გამოწრთობილმა კომუნისტურმა პარტიამ, მოაწყო რა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის მებრძოლი კავშირი, უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის წინაშე დაისახა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების, სოციალისტური საზოგადოების აშენების ურთულესი ამოცანები. დიდმა ლენინმა პარტიას მისცა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მეცნიერულად დასაბუთებული დიადი პროგრამა.

გადალახა რა უდიდესი სიძნელეები, დაძლია რა უცხოელ ინტერვენტთა გაფთრებული იერიშები და შინაური კონტრრევოლუციის ამბოხებები, კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი ქვეყნის ხალხები მიიყვანა ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებზე სრულ გამარჯვებამდე, უზრუნველყო პირობების შექმნა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობისათვის.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ი. ბ. სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტური პარტიის ბრძოლას ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის.

ჩვენი პარტიისა და ხალხის უბოროტესმა მტრებმა — ტროცკისტებმა, ბუხარინელებმა, ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, ისარგებლეს რა დიდი ლენინის გარდაცვალებით, გაფთრებული ბრძოლა გააჩაღეს იმისათვის, რომ პარტია აეცდინათ ლენინური გზიდან. კომუნისტურმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ი. ბ. სტალინის მეთაურობით გაანადგურა მოღალატეები და კაპიტულანტები, დაიცვა ლენინიზმი და გაბედულად წაიყვანა საბჭოთა ხალხი სოციალისტური მშენებლობის გზით.

ახორციელებდნენ რა ლენინის ანდერძს, კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით დარაზმეს გმირი საბჭოთა ხალხი სოციალიზმის აშენებისათვის დიად ბრძოლაში, უზრუნველყვეს სოციალიზმის გამარჯვება, გადააქციეს საბჭოთა ქვეყანა უმძლავრეს ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, შექმნეს საბჭოთა საზოგადოების უძლეველი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობა, მშრომელები აღზარდეს ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოსათვის გმირული თავდადების სულისკვეთებით.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ ცხადყო თავისი უძლეველი ძალა. საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილებამ, პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ, საბჭოთა ხალხის თავდადებულმა გმირობამ უზრუნველყო ჩვენი სამშობლოს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ფაშისტ დამპყრობლებზე. გერმანელი და იაპონელი აგრესორების განადგურებამ ხელი შეუწყო ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წარმოშობას, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შექმნას. საბჭოთა ხალხის ყველა ეს ისტორიული გამარჯვება განუყრელად დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით მძიმე განსაცდელის წლებში სათავეში ჩაუდგა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, აღფრთოვანებდა და რაზმავდა ჩვენს ხალხს გმირული ბრძოლისათვის მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე ი. ბ. სტალინი შემოქმედებითი მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსი იყო. თავის თეორიულ შრომებში, მოხსენებებში პარტიულ ყრილობებსა და კონფერენციებზე ი. ბ. სტალინმა გვიჩვენა ლენინიზმის უდიდესი იდეური სიმდიდრე, რომელიც ჩვენი პარტიის უმაღლესი მონაპოვარია. ი. ბ. სტალინმა შემოქმედებითად განავითარა ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ, მოგვცა კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის ღრმა ანალიზი, ჩამოაყალიბა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი. ი. ბ. სტალინმა მთელი რიგი ახალი დებულებებით გაამდიდრა ვ. ი. ლენინის მოძღვრება ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შესახებ, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ.

ეყრდნობოდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებს, ი. ბ. სტალინმა დაასაბუთა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელების გზები და მეთოდები. სტალინმა განავითარა და დააკონკრეტა მარქსისტულ-ლენინური დებულებანი სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონზომიერებისა და კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ. მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებებზე დაყრდნობით სტალინმა ჩამოაყალიბა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარების კანონი.

ი. ბ. სტალინმა, განაზოგადა რა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილება, ყოველმხრივ დაამუშავა ლენინური თეორია და ტაქტიკა ეროვნულ საკითხში, აღნიშნა ახალი, სოციალისტური ერების წარმოშობა ჩვენს ქვეყანაში და მათი ძირეული განსხვავება ძველი ბურჟუაზიული ერებისაგან. გვიჩვენა ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მნიშვნელობა, როგორც საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალის და მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის დაუშრეტელი წყარო.

ძლევამოსილი კომუნისტური პარტია მთელ თავის მოღვაწეობაში მტკიცედ ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის გენიალური მოძღვრებით. მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკა ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ საფუძვლებს, გამოხატავს ჩვენი ხალხის საარსებო ინტერესებს.

საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს მშობლიური კომუნისტური პარტია, რადგან იცის, რომ პარტიის მოღვაწეობის უმაღლეს კანონს შეადგენს მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებული ზრუნვა.

მისდევს რა ლენინურ-სტალინურ მოძღვრებას სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების შესახებ, კომუნისტური პარტია მუდამ აქცევდა და აქცევს უდიდეს ყურადღებას იმას, რომ ყოველმხრივ და სწრაფად ვითარდებოდეს მძიმე მრეწველობა, რომელიც სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საფუძველთა საფუძველია, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების მატერიალური ბაზაა. ამჟამად, ახორციელებს რა სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესების პროგრამას, პარტია უწინარეს ყოვლისა განუხრელად ავითარებს მძიმე მრეწველობას. მძიმე მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში ახალი დიდი წარმატებების, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველია.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის განუხრელ აღმავლობას.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკა, რომლის მიზანია ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილებისა და უშიშროების განმტკიცება, უზრუნველყოფს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირის, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობის შემდგომ გაძლიერებას.

კომუნისტური პარტია ლენინ-სტალინის უკვდავი საქმისათვის ბრძოლაში განამტკიცებს თავისი რიგების ერთიანობას და ბრძოლისუნარიანობას, ავითარებს შინაპარტიულ დემოკრატიას, თვითკრიტიკას და განსაკუთრებით კრიტიკას ქვემოდან, თანმიმდევრულად ხელმძღვანელობს ლენინის მიერ შემუშავებული, პარტიის წესდებით გათვალისწინებული პარტიული ცხოვრების პრინციპებითა და ნორმებით.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური გამოცდილება და კოლექტიური სიბრძნე, რომელთა დასაყრდენია მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრება და ხელმძღვანელი კადრების ფართო ინიციატივა, ხალხის მასების შემოქმედებითი ენერგია და თვითმოქმედება, უზრუნველყოფენ პარტიისა და ქვეყნისადმი მტკიცე, სწორ ხელმძღვანელობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ ლენინურ-სტალინურ საგარეო პოლიტიკას, ყოველი ღონისძიებით აფართოებენ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა ძმურ კავშირს, იბრძვიან ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, დაუცხრომლად განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითს ძლიერებას, ყოველმხრივ ავითარებენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალებს მთელ მსოფლიოში.

ლენინ — სტალინის დიადი, უძლეველი დროშით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

## ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისათვის

ბაქო, 19 დეკემბერი. ბაქო — მუშათა კლასის უპირველესი სიმტკიცე, ბრძოლის ტრადიციების ქალაქი — სათუთად და სიყვარულით ინახავს ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნას.

ისკრის ჭუჭაზე მდებარეობს გარეგნულად უბრალო, ერთსართულიანი სახლი, რომელსაც მემორიალური დაფა აქვს. ეს არის მუზეუმი არალეგალური სტამბის „ნინასი“, რომელიც 1901 წლის დამლევს ი. ბ. სტალინის ინიციატივით შეიქმნა.

აქ იბეჭდებოდა ლენინური „ისკრა“, „ბრძოლა“, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. ვ. ი. ლენინის შრომები „რა ვაკეთოთ?“, „სოფლის ღარიბი მოსახლეობისადმი“. ბევრი პარტიული პროკლამაცია და ფურცლები.

1907 წლის ოქტომბერში ი. ბ. სტალინი ბაქოს საერთო პარტიულ კონფერენციას ხელმძღვანელობდა. კონფერენცია გაიმართა იმ ქარხნის სახარატო საამქროში, რომელიც ახლა დიდ მანქანათმშენებელ საწარმოდ გადაიქცა და ლეიტენანტ შმიდტის სახელს ატარებს. კონფერენციამ დაგმო მენშევიკების გამცემლური პოლიტიკა და აირჩია ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტი ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

... ამ დღეებში მნიშვნელოვნად იმატა ექსკურსანტების რიცხვმა, რომლებიც ბაქოს ისტორიულ-რევოლუციური ადგილების დასათვალიერებლად მოდიან.

* * *

იბარაკა, 19 დეკემბერი. ენისეის მაღალ ქვიშიან ნაპირზე მდებარეობს სოფელი კურეიკა. ამ შორეულ და მკაცრ, წარსულში ველურ და უკაცრიელ ტურუხანსკის მხარეში 1914-1916 წლებში გადასახლებაში იმყოფებოდა ი. ბ. სტალინი.

ენისეის ნაპირზე აღმართულია მონუმენტური შენობა, რომელიც იცავს პატარა სახლ-მუზეუმს, სადაც გადასახლების პერიოდში ი. ბ. სტალინი ცხოვრობდა.

მუზეუმის დამთვალიერებელთა რაოდენობა განსაკუთრებით გადიდდა ამ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ძირეულად შეიცვალა კურეიკის სახე. აქ მებადურთა ძველი, თავმინებებული საზამთრო სადგომის კვალიც ვერ ნახავთ. კოლმეურნეებს სახლებში რადიო აქვთ, კვირა ილიჩის ნათურამ შეცვალა. კოლმეურნეობას, რომელიც ი. ბ. სტალინის სახელს ატარებს, ეკონომიური მაჩვენებლებით პირველი ადგილი უჭირავს რაიონის კოლმეურნეობებს შორის.

რევოლუციამდე მთელ ტურუხანსკის მხარეში ძნელად მოიძებნებოდა წერა-კითხვის მცოდნე. ახლა მარტო კურეიკაში შვიდწლიანი და დაწყებითი სკოლებია, ხოლო უახლოეს დროში საშუალო სკოლაც გაიხსნება.

## თბილისის მშრომელები აღნიშნავენ ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავს

თბილისის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 75 წლისთავს. ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში იმართება კრებები, საუბრები, ლექციები, მოწყობილია ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენები.

საუბრები იმართება რესპუბლიკის უძველეს საწარმოში — სტალინის სახელობის ორთქლშავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. აგიტატორები მექანიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი გ. მემარნიშვილი და სხვები ახალგაზრდობას აცნობენ იმ საწარმოს სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს, რომელშიც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა მუშათა პირველ მარქსისტულ წრეებს. დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საუბრების დროს მომხსენებლებს, აგიტატორებს, პროპაგანდისტებს მოჰყავთ მკაფიო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ უდიდეს წარმატებებს, რასაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის უძლეველი დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

თბილისის ათასობით მშრომელმა მოისმინა მოხსენებები და ლექციები საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, მუშათა და გლეხთა კავშირის გაძლიერებისათვის, ხალხთა ურღვევი ლენინურ-სტალინური მეგობრობისა და მშვიდობის საქმისათვის ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბრძოლის შესახებ.

ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავს ფართოდ აღნიშნავენ ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები. კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, პარტიის თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკებში გაიხსნა ამ თარიღისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენები.

გადიდდა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის, ყოფილი აღლაბარის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის მნახველთა რაოდენობა.

მრავალი ექსკურსია ათვალიერებს თბილისის ისტორიულ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია დიდი სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან. ექსკურსანტები დიდი ყურადღებით ათვალიერებენ ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობას, სადაც სწავლობდა ი. ბ. სტალინი, ობსერვატორიას, სადაც იგი მუშაობდა დამკვირვებელ-გამომთვლელად და სხვა სამახსოვრო ადგილებს, რომლებიც მოგვაგონებენ ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის რევოლუციური ბრძოლის მკაფიო ფურცლებს. (საქ. ლენ.).

## სტალინის ღიმილი

დეკემბრის დილით
გაზაფხულის მზე დაიბადა,
მთელი მსოფლიო მას ეძახდა ნუგეშს და მამას,
გორის ციხიდან
დედამიწას ეგანთიადა,
ვინც სიყრმიდანვე უმღეროდა მომავალს ლამაზს.

გვიყვარს სურათი,
სადაც ის ჩანს სახემცინარი,
ბავშვებს იხუტებს თაიგულით ხელში აყვანილს.
რა საჭიროა
უკვდავების ვთქვათ სამძიმარი,
განა სიკვდილი ეკარება ლენინს და სტალინს!

მის თბილ ღიმილში
იკითხება კაცთ სიყვარული,
კეთილშობილი სულის დიდი უბრალოება.
მან მოგვიტანა
მილიონთა ზღვა სიხარული,
უჭკნობ დიდებით ასახელა ჩვენი დროება.

მის თბილ ღიმილში
სამშობლოა ღრმად ჩახატული,
იგრძნობა ქვეყნის მაისური ვარდ-ყვავილობა,
იგრძნობა ხალხი,
მეგობრობა ჯერ არნახული,
ომში გმირობა და შრომაში ფრთაგაშლილობა.

მის თბილ ღიმილში
ჩანს ლენინი გაბრწყინებული,
ხედავ ცხოვრებას თავისუფალ ადამიანთა.

ყველგან თენდება
ჩვენს მამულში დღე დიდებული,
ბედნიერებამ მნათობივით გზა გაგვინათა.

მის თბილ ღიმილში
გრძნობ გულდაგულ ნაშენ ქალაქებს,
ხედავ ხუთი ზღვის შეერთებას ვოლგა-დონიდან.
მძლავრი გუგუნით
„სტალინეცი“ ყამირს განაგებს,
გაჩნდა წყალი და ტრამალებზე პური მოვიდა.

მის თბილ ღიმილში
გრძნობ გაცოცხლდა ვრცელი ტაიგა,
აყვავდა მიწა, სადაც წლობით ცას არ ეწვიმა.
გვალვით დამწვარმა
უდაბნომაც სული ჩაიდგა,
მწვანე ტყეების შარიშურში ქარს ჩაეძინა.

მის თბილ ღიმილში
ჩანს მოსკოვი — იმედი ერთა,
განმტკიცდა ძმობა შანხაიდან ბერლინის ბჭემდე.
ომის შავ ღრუბლებს
გადარეკენ ხალხები ერთად,
სადაც მშვიდობას გულმართალნი ძმობაში ჰედენ.

მის თბილ ღიმილში
კომუნიზმის დილა კაშკაშებს,
მზის შესახვედრად დროშა მაღლა აგვიმართია.
ჩვენ ამ ბრძოლაში
გამარჯვების რწმენა გვაკაჟებს,
წინ მიგვიძღვება უძლეველი გმირი პარტია.

ვარლამ ჟურული.

# 1879 — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი — 1954

ეროვნული ბიბლიოთეკა

★ ★

## დიადი თანამეგობრობა

ლენინისა და სტალინის სახელები უაღრესად ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ლენინმა და სტალინმა მთელი თავიანთი სიცოცხლე მოახმარეს ექსპლოატატორთა ბატონობისაგან მუშათა კლასის და ყველა მშრომელის განთავისუფლების დიად საქმეს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

როგორც ცნობილია, მეოცე საუკუნის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადმოინაცვლა. მეფის რუსეთი იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი გახდა. რუსეთში მწიფდებოდა უდიდესი სახალხო რევოლუცია, რომელსაც სათავეში უდგებოდა მზარდი, განმტკიცების გზაზე მდგომი, მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური რუსეთის პროლეტარიატი თავის ძლავრ მოკავშირესთან — გლეხობასთან ერთად.

რუსეთი გახდა პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის სამშობლო, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმის — ლენინიზმის სამშობლო, ხოლო კომუნისტების გენიალური მასწავლებელი დიდი ლენინი — მისი შემოქმედი.

ლენინის უახლოესი მოწაფე და თანამებრძოლი, ლენინის იდეების ურყევი მიმდევარი და დამცველი, რომელიც იბრძოდა ახალი ტიპის პარტიისათვის, აწრთობდა მას ლენინიზმის ყველა მტრის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში, იყო სტალინი.

იმ ტიტანურ ბრძოლაში, რომელსაც ლენინი ეწეოდა რუსეთში რევოლუციური პროლეტარული პარტიის შექმნისათვის, ახალგაზრდა სტალინი ფოლადისებური ნებისყოფით ჩაება და ურყევად ახორციელებდა ბრძენი მასწავლებლის ბითითებებს, ამიერკავკასიის ბოლშევიკებთან ერთად რაზმავდა მასებს ლენინური იდეების გამარჯვებისათვის. „პირველად ლენინს 1903 წელს გავეცანი,—წერდა ი. ბ. სტალინი. — ეს იყო შორიდან გაცნობა, მიწერ-მოწერით, და არა პირადი, მაგრამ ამან ჩემში დატოვა წარუხოცელი შთაბეჭდილება, რომელიც პარტიაში მთელი ჩემი ბუშობის განმავლობაში თან მდევდა“.

1905 წლის დეკემბერში სტალინი პირველად შეხვდა პირადად ლენინს სრულიად რუსეთის ბოლშევიკურ კონფერენციაზე ტამერფორსში. ლენინის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში სტალინი ულმობლად ამხილებს ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, ანადგურებს მუშათა კლასის მტრებს. იგი ორგანიზაციულ-პრაქტიკულ მოღვაწეობას ახამებს თეორიულ ბუშაობასთან. მისი შესანიშნავი ნაწარმოებნი პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ გამოირჩევიან თეორიული სიღრმით და ოპორტუნიზმისადმი შეურიგებლობით.

1912 წელს პრაღის კონფერენციაზე ლენინის წინადადებით სტალინს დაუსწრებლად ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს ხელმძღვანელად. ლენინის წინადადებითვე სტალინი ხელმძღვანელობს გაზეთებს „ზვეზდას“ და „პრავდას“, IV სახელმწიფო სათბობიროს არჩევნების კამპანიას.

1917 წლის ნოემბერი დღეებში სტალინი მუშაობს უშუალოდ ლენინის ხელმძღვანელობით, იბრძვის გამცემლების — კამენევის, რიკოვის, ტროცკის წინააღმდეგ, სტალინი თვალისჩინივით უფრთხილდება რევოლუციის გენიის — მთის არწივის ძვირფას სიცოცხლეს. სტალინი და ლენინის სხვა თანამებრძოლნი უზრუნველყოფენ ლენინის ცხოვრებას არალეგალურ პირობებში, ლენინისაგან ყოველდღიურად იღებენ დირექტივებს შემდგომი მუშაობისათვის. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინის წინადადებით სტალინი ინიშნება საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა სახალხო კომისრად. „ამ პოსტზე არ არის სხვა კანდიდატურა, გარდა სტალინის კანდიდატურისა“, ამბობდა ლენინი. იგი უმაღლეს შეფასებას აძლევდა სტალინის მოღვაწეობას ამ უაღრესად პასუხსაგებ პოსტზე. ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გატარების, სამოქალაქო ომის, აღდგენითი პერიოდის არც ერთ მომენტში არ ყოფილა შემთხვევა, რომ დიდ ლენინს არ გაეზიარებინა სტალინის აზრი ამა თუ იმ სერიოზული საკითხის გადაჭრის საქმეში.

„ვიდრე თქვენს შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდოდა ჯერ მოვთათბირებოდი სტალინს“, — განაცხადა ლენინმა ბრესტის სამშვიდობო დელეგაციასთან პირდაპირი მავთულით საუბრის დროს. „ეს-არის ახლა მოვიდა სტალინი, განვიხილავთ ერთად და ახლავე მოგცემთ ერთობლივ პასუხს“, — უპასუხა მან მეორე შემთხვევაში.

ი. ბ. სტალინი თავის თავს უწოდებდა ლენინის მოწაფეს, მის თანამებრძოლს. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ი. ბ. სტალინმა ბოლშევიკური სიმტკიცითა და შეუპოვრობით წაიყვანა პარტია ახალი გამარჯვებების გზით.

ასრულებდა რა დიდი მასწავლებლის მითითებებს, ი. ბ. სტალინმა დაიცვა მარქსიზმ-ლენინიზმი ყველა ჯურის მტრებისაგან, შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორია ახალ ისტორიულ პირობებთან შეფარდებით, გამდიდრა ის ახალი დებულებებით.

გენიალური ლენინისა და დიდი სტალინის დიადი თანამეგობრობა იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რა ძვირფასია კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაში, და ამ საფუძველზე როგორი ერთიანი, მტკიცე და მონოლითურია ჩვენი სახელოვანი პარტია.

ლენინის მიერ შექმნილი, ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილი და რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას და, განვითარების ახალ გზას უჩვენებს რა მთელი მსოფლიოს მშრომელებს, მტკიცედ იბრძვის მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში. 1922 წ.

◁ ★ ▷

„...მაგონდება 1917 წელი, როცა მე, საპყრობილეებსა და გადასახლებაში ყოფნის შემდეგ, პარტიის ნებით გავიგზავნე ლენინგრადში. იქ, რუსი მუშების წრეში, ყველა ქვეყნის პროლეტართა დიდ მასწავლებელთან — ამხ. ლენინთან უშუალოდ ახლო მყოფმა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის უდიდეს შეჯახებათა ქარიშხალში, იმპერიალისტური ომის ვითარებაში, მე პირველად ვისწავლე იმის გაგება, თუ რას ნიშნავს იყო მუშათა კლასის დიადი პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იქ, რუსეთის მუშათა — ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელთა და ყველა ქვეყნისა და ხალხის პროლეტარული ბრძოლის მოთავეთა წრეში, მივიღე მე ჩემი მესამე საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. იქ, რუსეთში, ლენინის ხელმძღვანელობით, გავხდი მე რევოლუციის ერთ-ერთი ოსტატი“.

ი. ბ. სტალინი.

## ლენინიზმის პროპაგანდის კერა

განუწყვეტლივ მოედინება ექსკურსანტთა ნაკადი გორში იმ უბრალო, პატარა სახლის სანახავად, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ლენინის საქმის დიდმა განმგრძობმა ი. ბ. სტალინმა. ამ სახლში თვითეული ნივთი დაკავშირებულია მის ბავშვობასთან. მოწიწებით შესცქერი ძვირფას ნივთებს, კითხულობ მნახველთა ჩანაწერებს და გრძნობ: უსაზღვროა ხალხის სიყვარული ი. ბ. სტალინისადმი, რომელმაც თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა მშრომელთა ბედნიერების საქმეს.

ასეულ ათასობით მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი, სტუდენტი, მოსწავლე, საზღვარგარეთიდან მოსული სტუმარი ათვალიერებს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს. განსაკუთრებით დიდია ხალხის დენა სტალინის დაბადების 75 წლისთავის დღეებში.

კუნძულ ჰაიტის პოეტმა რენე დე-პეტრიმ ერთ-ერთ თავის ლექსს, რომელიც ი. ბ. სტალინს მიუძღვნა, უწოდა: „სიმღერა ადამიან-განთიადზე“. ეს ლექსი გაგახსენდებათ, როცა სახლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში წაიკითხავთ ავსტრიის დელეგაციის წარმომადგენლის ბრუნო ფრაის ჩანაწერს: „ამ უბრალო სახლში დაიბადა განთიადი“.

შთაბეჭდილებათა წიგნში შეხვდებით სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ჩანაწერებს, საიდანაც ჩანს, რომ სტალინის სახლს ერთნაირი გატაცებით ათვალიერებენ ინგლისელი პროფესორი ჯონ ბერნალი და მეჯვრისხეველი ან ტინისხიდელი კოლმეურნე. ვინ იცის, რამდენჯერ წამოსულა ფეხით ამ სახლის სანახავად გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნე ა. ტეტუნაშვილი... ეს ხომ მის ტრადიციად გადაიქცა — ყოველწლიურად ინახულოს სტალინის აკვანი. და მაინც მისი შთაბეჭდილების სტრიქონები მუდამ ახალია, მუდამ თბილია, თითქოს ამ უბრალო ადამიანს მოწიწებით პირველად დაეხაროს თავი იმ სახლის შესასვლელთან, რომელშიც დაიბადა ი. ბ. სტალინი.

სახლ-მუზეუმი ლენინიზმის პროპაგანდის მძლავრ კერად არის გადაქცეული. წარმოდგენილი ექსპონატები ერთხელ კიდევ თვალნათლივ მოწმობენ კომუნისტური პარტიის, კომუნიზმის საქმის სიდიადეს, ჩვენი პარტიის ურღვევ კავშირს მასებთან, ხალხთან.

როგორც უძვირფასეს რელიკვიებს, ისე ათვალიერებენ ადამიანები სახლ-მუზეუმის ექსპონატებს. ყველას, ვინც კი ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი ინახულა, მდიდარ შთაბეჭდილებებთან ერთად მიაქვს დიდი სტალინისადმი ულრმესი სიყვარულის გრძნობა. შთაბეჭდილებათა წიგნში წაიკითხავთ გო მო-ჟოს, პაკ დენ აის, რაამონდა დიენის, ერიბერტო ხარას, ჰულიეტ ჯონსონის, ჟორჟი ამადუს, მიხეილ სადოვიანუს, კონსტანტინე სიმონოვის, მიკოლა ბაჟანის და სხვა გამოჩენილი ადამიანების ჩანაწერებს.

„შრომასა და ბრძოლაში, — წერენ სახალინელი მენავთობეები, — მაღლა და წმინდად ვატარებთ ლენინ — სტალინის დიად დროშას. ბედნიერი ვართ, რომ ვინახულეთ ი. ბ. სტალინის სამშობლო“.

შთაბეჭდილებათა წიგნის სიტყვებში ნათლად გამოსჭვივის, თუ რა ურღვევია ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა. აი რას წერს უკრაინელი ანატოლი კრავჩენკო: „შენთვის, ძვირფასო სტალინ, ხელთუქმნელი ძეგლია ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, რუს ხალხთან ყველა ხალხის ძმური კავშირი, ხელთუქმნელი ძეგლია ჩვენი შესანიშნავი ცხოვრება, კომუნიზმი“.

დიდია ხალხთა მეგობრობის ძალა. ამ მეგობრობის დროშით ჩაებნენ თვით სტალინის სამშობლო ქალაქ გორის მეკონსერვეები სოციალისტურ შეჯიბრებაში სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანისა და უკრაინის სსრ ხერსონის მეკონსერვეებთან, ხოლო გორელი ფეიქრები, რომლებმაც სამშობლოს უკვე მისცეს პირველი ქსოვილი, — ჩებოქსარელ ფეიქრებთან, საბირაბადელ მებამბეებთან.

საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე მშრომელები ი. ბ. სტალინის სახლთან ფიცს დებენ, რომ მტკიცედ დაიცავენ მშვიდობას. „სტალინის დაბადების ადგილას პირობას ვიძლევი, რომ მე, როგორც კომუნისტი და კომპოზიტორი, მთელ ჩემს ძალებს შევწირავ მშვიდობის საქმეს“. — ეს ავსტრიელი კომპოზიტორის მაროლო რუბანის ფიცია.

გორელები დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაამშვენიერონ თავიანთი მშობლიური ქალაქი, რომლის სანახავად ადამიანები დედამიწის ყველა კუთხიდან მოისწრაფიან. გორი დღითიდღე მშვენდება და ლამაზდება. უკვე ხორცს ისხამს ქალაქის გენერალური რეკონსტრუქციის გეგმა. უახლოეს ხანში მზად იქნება ქალაქის მთავარი მაგისტრალი—სტალინის პროსპექტი. ი. ბ. სტალინის მუზეუმის ახალი შენობა, სასტუმრო „ინტურისტის“, „უნივერმაღის“, ქალაქის ადმინისტრაციული სახლის, ბამბეულის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის ნაგებობანი დაამშვენებენ პროსპექტს. სტალინის პროსპექტი კვეთს ახლადშექმნილ მოედანს. სადაც აღმართულია დიდი სტალინის შესანიშნავი ძეგლი. გაყვანილია საბჭოს ქუჩა, მოასფალტდა გურამიშვილის, გოგებაშვილის, ჯორჯიაშვილის ქუჩები.

ლენინიზმის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა და იღვწოდა ი. ბ. სტალინი, ცოცხლობს მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანის გულში, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების გულში.

# ი. ბ. სტალინი—ლენინის საქმის დიდი განმგრძობი

დღეს შესრულდა 75 წელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ნოწაფის, თანამებრძოლის და მისი საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადებიდან.

ი. ბ. სტალინმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ექსპლოატატორთა უღლისაგან მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლების კეთილშობილურ საქმეს, ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას. ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხისადმი თავდადებული სამსახურის, ნარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებისადმი უსაზღვრო ერთგულების აღმფრთოვანებელი მაგალითია.

ი. ბ. სტალინის რევოლუციური მუშაობა დაიწყო იმ დროს, როცა ვ. ი. ლენინმა გაიჩაღა ტიტანური ბრძოლა რუსეთში პროლეტარიატის რევოლუციური მარქსისტული პარტიის — ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის. თავისი რევოლუციური ნოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე ი. ბ. სტალინი განიმსჭვალა ლენინის გენიისადმი უსაზღვრო რწმენით და მტკიცედ დაადგა ვ. ი. ლენინის გზას. იგი ლენინში ხედავდა უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელს, მთის არწივს, ბრძოლაში უშიშარს და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უკვალ გზებზე პარტიის გაბედულად წინ წამყვანს. ი. ბ. სტალინი თავის თავს უწოდებდა ვ. ი. ლენინის მოწაფეს და თავისი ცხოვრების მიზანს იმაში ხედავდა, რომ მისი ღირსეული მოწაფე ყოფილიყო. იგი ყოველთვის და ყველგან რჩებოდა მტკიცე ლენინელად, ლენინიზმის იდეების ერთგულ მამდევრად.

მარქსისა და ენგელსის მოძღვრებისა და საქმის გენიალურმა განმგრძობმა ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი ახალ ისტორიულ პირობებში. მან შექმნა მოძღვრება ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შესახებ, შეიმუშავა მისი იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები. მან გააჩაღა ულმობელი ბრძოლა მარქსიზმის აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, რევოლუციური მარქსიზმის დროშის ქვეშ პროლეტარიატის ძალების დარაზმვისა და შემჭიდროებისათვის. ი. ბ. სტალინი ლენინის ერთგული თანამებრძოლი იყო მუშათა კლასის მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში.

დიდი ლენინის მიერ შექმნილმა და გამოწრთობილმა კომუნისტურმა პარტიამ მიიყვანა ჩვენი ხალხი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. რუსეთის პროლეტარიატმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ლენინი, უდიდესი ისტორიული გმირობა ჩაიდინა — პირველმა გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის გამარჯვების ერას. ლენინის სახელი გახდა ყველა ქვეყნის მშრომელთა დროშა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად ისტორიაში პირველად შეიქმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამშრომელი იყო სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობასა და განმტკიცებაში, შინაური და გარეშე კონტრრევოლუციისაგან საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის დაცვაში.

კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით უდიდესი ნუშაობა გასწია საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად გაერთიანებისათვის. ამ ისტორიული ამოცანის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ი. ბ. სტალინს. სსრ კავშირის შექმნა კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება იყო, მან განუზომლად განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს ძალები და ძლიერება.

* * *

გაანადგურა რა უცხოელი ინტერვენტები და თეთრგვარდიელები, კომუნისტურმა პარტიამ გიგანტური შემოქმედებითი მუშაობა გაიჩაღა, ხალხის უმრავლესი შემოქმედებითი ძალები წარმართა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განსახორციელებლად. ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის გადაქცევისა ნოწინავე, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ ითვალისწინებდა ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, მძიმე მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას, სოციალისტურ საფუძვლებზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის გარდაქმნის კოოპერაციული გეგმის ცხოვრებაში გატარებას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ სოციალიზმის დაუძინებელმა მტრებმა — ტროცკისტებმა, ბუხარინელებმა, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებმა — გაფთრებული იერიშები მიიტანეს პარტიაზე, ცდილობდნენ გადაეცდინათ პარტია და ჩვენი ქვეყანა ლენინური გზიდან პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის გზაზე. ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, კომუნისტურმა პარტიამ გაანადგურა გამცემლები და კაპიტულანტები, დაიცვა ლენინიზმი, გაბედულად და მტკიცედ წაიყვანა ჩვენი ქვეყნის ხალხები სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის გზით.

ეყრდნობოდა რა ლენინის მითითებებს, სტალინმა დასაბუთა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზები და მეთოდები. განახორციელა რა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკა, პარტიამ მოკლე ისტორიულ ვადაში მიაღწია იმას, რომ ჩვენი სამშობლო გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება ლენინის ბრძნული ანდერძის შესრულების შედეგია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გიგანტური დამრაზმავი და წარმმართველი მოღვაწეობის დიადი შედეგია, მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის შთაგონებული, გმირული შრომის ნაყოფია.

სოციალიზმის გამარჯვებამ გამოიწვია ძირეული ცვლილებანი ეკონომიკაში, საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში და ეროვნული ურთიერთდამოკიდებულების დარგში. საბჭოთა სოციალისტური წყობილება, რომელმაც სამუდამოდ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, შექმნა მთელი საბჭოთა საზოგადოების ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, — ყველაზე პროგრესული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებაა.

მისი ძალისა და სიცოცხლისუნარიანობის უაღრესად სერიოზული შემოწმება იყო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. ამ ომში ჩვენი ხალხის მიერ მოპოვებული ისტორიული გამარჯვებანი მჭიდროდ დაკავშირებულია ი. ბ. სტალინის სახელთან, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით სათავეში ედგა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს. ომის დღეებში პარტია გამოვიდა როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მთელი ხალხის ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. თავისი ორგანიზატორული მუშაობით მან საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუქვემდებარა ჩვენი ქვეყნის მთელი ძალები და საშუალებები. ომის წლებში კომუნისტური პარტია კიდევ უფრო შეუსისხლხორცდა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს. საბჭოთა ხალხმა და მისმა მამაცმა არმიამ, რომლებსაც სახელოვანი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, დაიცვეს თავიანთი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნეს ევროპისა და აზიის ხალხები ფაშისტური დამონების საფრთხისაგან.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხმა უდიდესი ღონისძიებები განახორციელა ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაციისათვის. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის რეკონსტრუქციულმა ნებისყოფამ, მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის თავდადებულმა, გმირულმა შრომამ ყველა სიძნელე გადალახა. შორს დარჩა უკან ის ეკონომიური ზღუდეები, რომლებზეც ომმა შეწყვიტა საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

* * *

მთელ თავის მოღვაწეობაში ჩვენი პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრებით. ი. ბ. სტალინი ლენინიზმის გამოჩენილი პროპაგანდისტი იყო. იგი გვიჩვენებდა ლენინური მემკვიდრეობისადმი მზრუნველი დამოკიდებულების მაგალითს, იცავდა ლენინიზმის სიწმინდეს, შეურიგებლად ებრძოდა ლენინიზმის ყველა მტერს. თავის თეორიულ შრომებში ი. ბ. სტალინმა განსაკუთრებული ძალით გვიჩვენა ლენინიზმის იდეური სიმდიდრე, რომელიც ჩვენი პარტიის უდიდესი მონაპოვარია.

ი. ბ. სტალინს მარქსიზმ-ლენინიზმი მუდამ მიაჩნდა შემოქმედებით მეცნიერებად, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება ცხოვრებასთან, მასების რევოლუციურ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში. ისევე როგორც ლენინი, იგი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თეორია დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის, და მთელ თავის მოღვაწეობაში გვიჩვენებდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი გამოყენების, პარტიის პოლიტიკის შემუშავებასა და დასაბუთებაში, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში მისი უნარიანად გამოყენების მაგალითს.

განაზოგადებდა რა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის უმდიდრეს პრაქტიკას და თანამედროვე საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებას, ი. ბ. სტალინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორია ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად და მთელ რიგ საკითხებში გაამდიდრა იგი ახალი დებულებებით. ი. ბ. სტალინის შრომებში შემდგომი განვითარება

# ამომრჩეველთა მაღალი პოლიტიკური აქტივობა

19 დეკემბერს დილაადრიან თბილისის ქუჩებში და მოედნებზე დიდი გამოცოცხლება იყო. თბილისელები ცალცალკე და ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებოდნენ, რათა მოეხადათ მოქალაქეობრივი ვალი, მონაწილეობა მიეღოთ სახალხო სასამართლოების არჩევნებში.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მოთავსებულ ლენინის რაიონის პირველი საარჩევნო ოლქის № 8 საარჩევნო პუნქტში სახალხო მოსამართლედ კენჭს იყრიდა ბარბარე იოსების ასული არავიაშვილი — კალმეურნის ქალიშვილი, რომელმაც დაამთავრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს შორის, რომლებიც კიროველებმა დააყენეს, იყვნენ კონტროლის ოსტატი ვენერა სილოვანის ასული ანთელავა, კონსტრუქტორი შოთა მიხეილის-ძე ედილაშვილი, ინჟინერი სერგი ალექსანდრეს-ძე ბაგდინოვი და სხვები. ისინი საწარმოში ცნობილი არიან როგორც მოწინავენი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკები. ამომრჩევლები სიხარულით, სულით და გულით აძლევენ ხმას.

გაჩრაღდნებულია თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მეორე საარჩევნო ოლქის № 18 ლამაზად მორთული საარჩევნო პუნქტი, რომელიც მოთავსებულია სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ფანჯრებიდან გადაშლილია ქალაქის ულამაზესი მაგისტრალის — უნივერსიტეტის ქუჩის საუცხოო ხედი. აქ განლაგებულია რესპუბლიკის ყველაზე დიდი უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებანი. ამ უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნას ეუფლება 10.000-ზე მეტი სტუდენტი, სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწევა ათასზე მეტი მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების კანდიდატი.

საყვარელი სამშობლოსათვის, კომუნისტური პარტიისათვის სიამაყის გრძნობით მიდიოდნენ № 18 საარჩევნო პუნქტში მუშები და მეცნიერები, მწერლები და მხატვრები, დიასახლისები და სტუდენტები. ისინი იღებდნენ ბიულეტენებს, რომლებზეც აღბეჭდილი იყო სახალხო მოსამართლის კანდიდატის სერგი მელიტონის-ძე გაბილაიას სახელი.

დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ნიმდინარეობდა არჩევნები საქართველოს დედაქალაქის სხვა საარჩევნო პუნქტებშიც. დილის 6 საათზე სტუმართმოყვარულად გაიღო კალინინის რაიონის მეორე საარჩევნო ოლქის № 5 საარჩევნო პუნქტის კარი. აქ სახალხო მოსამართლის კანდიდატად კენჭს იყრის ირაკლი ალექსანდრეს-ძე ყაველაშვილი. მან მრავალი წელი მოახმარა იუსტიციის ორგანოებში მუშაობას. ამხ. ყაველაშვილმა გულისხმიერებით და ყურადღებით მშრომელთა პატივისცემა მოიპოვა.

ამ საარჩევნო პუნქტში ერთ-ერთი პირველი მოვიდნენ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი კ. ა. ჩაჩავა, ძველი პედაგოგი, რომელმაც ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი აღზარდა, ქ. ტ. თოფურია, ექიმი დ. ი. ჯაფარიძე.

ამომრჩევლები ბიულეტენებში კითხულობენ სახალხო მსაჯულთა კანდიდატების — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის თამარ ივანეს ასულ ბაქრაძის, ინჟინერ-არქიტექტორის რუსუდან ტარასის ასულ მუშკუდიანის, 48-ე სამშალი სკოლის მასწავლებლის ხორის ილიას-ძე კანდელაკისა და სხვათა სახელებს.

თბილისში კენჭი იყარა სახალხო მოსამართლეთა 28 კანდიდატმა და სახალხო მსაჯულთა 2.100 კანდიდატმა.

არჩევნების დღე მკაფიოდ გამოხატავდა საბჭოთა ადამიანების ერთიანობასა და დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. (საქდესი).

# საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტები

## ფინეთის, იუგოსლავიის, შვეიცარიის, შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობებისადმი

ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ საბჭოთა მთავრობის 13 ნოემბრის ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ მიიღო ფინეთის, იუგოსლავიის, შვეიცის, შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობათა საპასუხო ნოტები.

17 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ **ფინეთის** მისიას მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა ფინეთის მთავრობის 19 ნოემბრის ნოტაზე.

ნოტაში აღნიშნულია, რომ, ცნობად იღებს რა ფინეთის მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი დადებითად ეკიდება საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა, საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია მწუხარება არ გამოთქვას, რომ ფინეთის მთავრობამ შესაძლებლად ვერ მიიჩნია მონაწილეობა მიეღო სრულიად ევროპის თათბირში ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე.

შემდეგ ნოტაში ნათქვამია:

„ამავამად, როცა დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო ახორციელებს ღონისძიებებს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და იმ სამხედრო დაჯგუფებებში დასავლეთ გერმანიის შეყვანისათვის, რომლებიც მიმართულია ევროპის მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ, იმ საკითხს, რომ ევროპის ყველა სახელმწიფომ, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ფინეთის მთავრობა თავის წვლილს შეიტანს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საქმეში".

იმავე დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ **იუგოსლავიის** საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა იუგოსლავიის ფედერალური სახალხო რესპუბლიკის მთავრობის 24 ნოემბრის ნოტაზე.

„სსრ კავშირის მთავრობა, — ნათქვამია ნოტაში, — აღნიშნავს იუგოსლავიის ფედერალური სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ნოტაში მოყვანილ განცხადებას, რომ იგი მზარს უჭერს თათბირის იდეას, რასაც საბჭოთა მთავრობის წინადადება შეიცავს, და აღიარებს, რომ ასეთი თათბირის მოწყობა გაერთიანებული ერების წესდების პრინციპების შესაბამისად მნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში"

საბჭოთა მთავრობის ნოტაში აღნიშნულია, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია გაგზავებს მდგომარეობას ევროპაში. ძირს გადმოთხრის იმის შესაძლებლობას, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება ევროპის გადაუჭრელ პრობლემებზე, გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ დაინტერესებული სახელმწიფოები შეთანხმდნენ გერმანიის გაერთიანების საკითხზე.

„ამასთან დაკავშირებით, — ნათქვამია შემდეგ ნოტაში, — დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ იუგოსლავიის მთავრობა, იუგოსლავიისა, რომლის ხალხები ერთი თაობის მანძილზე ორჯერ გახდნენ გერმანიის მილიტარიზმის მიერ გაჩაღებული გამანადგურებელი ომების მსხვერპლი, ჯეროვნად შეაფასებს დასავლეთ გერმანიის ვერმახტის აღორძინების საფრთხეს ევროპის ხალხებისათვის და თავის წვლილს შეიტანს ევროპის კოლექტიური უშიშროების შექმნის საქმეში.

საბჭოთა მთავრობა წინანდებურადვე დარწმუნებულია, რომ ნამდვილი უშიშროება ევროპის ყველა ხალხისათვის შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ გერმანიის რემილიტარიზაციისა და სამხედრო დაჯგუფებებში მისი ჩაბმის გეგმების უარყოფის გზით და ევროპის სახელმწიფოთა კოლექტიური უშიშროების ეფექტური სისტემის შექმნის გზით".

თავის საპასუხო ნოტაში, რომელიც 17 დეკემბერს გაეგზავნა **შვეიცის** საელჩოს მოსკოვში შვეიცის მთავრობის 19 ნოემბრის ნოტაზე, საბჭოთა მთავრობა მწუხარებით აღნიშნავს, რომ შვეიცის მთავრობამ შესაძლოდ ვერ მიიჩნია მონაწილეობა სრულიად ევროპის თათბირში ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე, თუმცა შვეიცის მთავრობის ნოტიდან ჩანს, რომ მან საბჭოთა მთავრობის წინადადება ასეთი თათბირის მოწვევის შესახებ შეაფასა ისეთ ღონისძიებად, რომლის მიზანია შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და განმტკიცდეს მშვიდობა ევროპაში.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში აღნიშნულია, რომ რადგან შვეიცის მთავრობის ნოტაში დასმულია ზოგიერთი საკითხი, რომლებიც ეხება საბჭოთა წინადადებას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია გამოთქვას შემდეგი მოსაზრებანი:

„აღნიშნული საკითხების შესახებ ცნობები, რომლებიც შვეიცის მთავრობას ინტერესებს, მნიშვნელოვანწილად მოყვანილია „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების" პროექტში, რომელიც სსრ კავშირის მთავრობამ წარუდგინა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის მიმდინარე წლის 10 თებერვალს, და საბჭოთა მთავრობის ცნობილ ნოტებში ამ საკითხზე. როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს, რომ „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების" მონაწილე სახელმწიფოებმა შექმნან სხვადასხვა ორგანო ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულების ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ასეთ ორგანოებს ეკუთვნის ხელშეკრულების მონაწილეთა პერიოდული და სპეციალური თათბირები, მუდმივმოქმედი საკონსულტაციო პოლიტიკური კომიტეტი, აგრეთვე სამხედრო საკონსულტაციო ორგანო.

რა თქმა უნდა, აღნიშნული ორგანოების ფუნქციების ზუსტი განსაზღვრისა და ორგანიზაციის დეტალების საკითხი შეიძლებოდა გამხდარიყო სათანადო მოლაპარაკების მსვლელობაში შემდგომი დაზუსტების საგანი. ამასთან იგულისხმება, რომ აღნიშნული ორგანოების მთელი საქმიანობა, ისევე როგორც საერთოდ მონაწილე ქვეყნების ურთიერთობა წარმოდგენილი ხელშეკრულების ჩარჩოებში, აგებული იქნება დიდი და პატარა სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემისა, აგრეთვე მათს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად. აგრეთვე გათვალისწინებულია, რომ ხელშეკრულების მონაწილეთა ვალდებულებანი და მოქმედება ევროპის კოლექტიური უშიშროების შენარჩუნების საქმეში საესებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებს.

რაც შეეხება შვეიცის მთავრობის ნოტაში აღძრულ საკითხს სანქციების სისტემის შესახებ, აგულისხმება, რომ ევროპის მშვიდობის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის, ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ ერთმანეთისათვის საჭირო დახმარების, კერძოდ, სამხედრო დახმარების გაწევის წესი დამატებით უნდა იქნას განხილული და დადგენილი.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში აღნიშნულია, რომ ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხში ასეთ პოზიციას საესებით დაუჭირეს მხარი ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე მთავრობებმა, და რომ თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან განიხილონ აგრეთვე ყოველგვარი სხვა წინადადება ამ საკითხზე.

შემდეგ ნოტაში ნათქვამია: „საბჭოთა მთავრობა, თავის მხრივ, მზად არის, რა თქმა უნდა, გაიცნოს წინადადებანი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის საკითხზე, თუ ასეთი წინადადებებს წარმოადგენს შვეიცის მთავრობა, რომლის პასუხისმგებელ წარმომადგენელს არაერთგზის გამოუთქვამთ სურვილი ხელი შეუწყონ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას".

17 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ **შვეიცარიის** მისიას მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა შვეიცარიის მთავრობის 24 ნოემბრის ნოტაზე.

საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში აღნიშნავს შვეიცარიის მთავრობის განცხადებას, რომ იგი მხარს უჭერს ყოველ ინიციატივას, რომლის მიზანია მსოფლიოში და, კერძოდ, ევროპაში „მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე რეჟიმის" შექმნა.

„საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, — ნათქვამია ნოტაში, — რომ წინადადება ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ შეეფერება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანებს, და ამასთან დაკავშირებით მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შვეიცარიის მთავრობამ შესაძლებლად ვერ მიიჩნია თავისი წარმომადგენლები გამოეგზავნა ამ თათბირზე.

სსრ კავშირის მთავრობა ცნობად იღებს შვეიცარიის მთავრობის განცხადებას, რომ იგი „ცდილობდა და ამჟამადაც ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს" ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა მთავრობა წინანდებურადვე დარწმუნებულია, რომ ევროპის ყველა ხალხის ნამდვილი უშიშროება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ იმ გზით, რომ უარი თქვან დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმებზე და სამხედრო დაჯგუფებებში მისი შეყვანის ბლოკში მისი შეყვანის შესახებ, რომელიც მიმართულია ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა წინანდებურად დარწმუნებულია, რომ ნამდვილი უშიშროება ევროპის ყველა დიდი და პატარა ხალხისათვის შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ იმ გზით, რომ მათ უარყოფ გერმანიის რემილიტარიზაციისა და სამხედრო დაჯგუფებებში მისი შეყვანის გეგმები და შექმნან ევროპაში კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ყველა სახელმწიფო, დამოუკიდებლად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

ასეთ პოზიციას საესებით დაუჭირეს მხარი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციის ტექსტი, რომელიც მიიღო ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირმა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ 1954 წლის 2 დეკემბერს და რომელსაც მხარი დაუჭირა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ.

# საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა ნორვეგიის მთავრობისადმი

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, საბჭოთა მთავრობის 13 ნოემბრის ნოტაზე ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის სრულიად ევროპის თათბირის მოწყობის შესახებ მიღებულ იქნა ნორვეგიის, დანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, იტალიის, საბერძნეთის, თურქეთისა და ისლანდიის 29 ნოემბრის საპასუხო ნოტები.

17 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნორვეგიის საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის შემდეგი ნოტა ნორვეგიის მთავრობისადმი:

„საბჭოთა მთავრობა გაეცნო ნორვეგიის მთავრობის 29 ნოემბერს მიღებულ პასუხს სსრ კავშირის მთავრობის ამა წლის 13 ნოემბრის ნოტაზე, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მისი წინადადება, რომ მოსკოვში ან პარიზში 29 ნოემბერს მოწვეული ყოფილიყო სრულიად ევროპის თათბირი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე, და საჭიროდ მიაჩნია ნორვეგიის მთავრობის ყურადღება მიაქციოს შემდეგს.

თავის ნოტაში ნორვეგიის მთავრობამ გვაცნობა, რომ უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს ევროპის საელჩოფიფოტების იმ თათბირში ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე, რომლის მოწვევის შესახებ საბჭოთა მთავრობამ წინადადება წამოაყენა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობებთან შეთანხმებით. უარი თქვა რა აღნიშნულ თათბირში მონაწილეობაზე, ნორვეგიის მთავრობას თავის მხრივ არ შემოუტანია არავითარი წინადადება ევროპის ყველა ხალხისათვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხზე.

იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყოს ევროპის ყველა სახელმწიფოს ღონისძიებათა გაერთიანებას, რათა უზრუნველყონ მშვიდობა და აღკვეთონ იმის საფრთხე, რომ აღორძინდეს გერმანიის მილიტარიზმი, რომლის აგრესიის შედეგები წარსული ომის დროს ევროპის სხვა ხალხებთან ერთად განიცადა ნორვეგიის ხალხმაც, ნორვეგიის მთავრობა დაადგა იმ გზას, რომ მხარს უჭერს პარიზის შეთანხმებებს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და იმ სამხედრო ბლოკში მისი შეყვანის შესახებ, რომელიც მიმართულია ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა წინანდებურად დარწმუნებულია, რომ ნამდვილი უშიშროება ევროპის ყველა ხალხისათვის შეიძლება მხოლოდ ამ გზით, რომ ევროპის ყველა ხალხი, — დიდი და პატარა, ხელმოწერენ ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემაში, რომელიც დამყარებული იქნება ამ სისტემაში ევროპის ყველა დიდი და პატარა სახელმწიფოს მონაწილეობაზე, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა".

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 17 დეკემბერს **ავსტრიის** საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა ავსტრიის მთავრობის 27 ნოემბრის ნოტაზე. საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში მწუხარებით აღნიშნავს, რომ ავსტრიის მთავრობამ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო სრულიად ევროპის თათბირში ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ.

„თავის უარისთქმას, — ნათქვამია ნოტაში, — ავსტრიის მთავრობა ასაბუთებს იმის მომიზეზებით, რომ მას შეეძლო მონაწილეობა მიეღო ევროპის ქვეყნების თათბირში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თათბირში მონაწილეობას მიიღებდა ავსტრიის მოაკუპირებელი ყველა სახელმწიფო.

საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია ამასთან დაკავშირებით ავსტრიის მთავრობის ყურადღება არ მიაქციოს იმას, რომ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა, რომლებიც ესწრაფვიან განახორციელონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმები, უარი თქვეს საბჭოთა კავშირის წინადადებით გათვალისწინებული მოლაპარაკების მოწყობაზე, და განაცხადეს, თითქოს ახლა არ იყოს პირობები, რომლებიც საჭიროა „გერმანიის, ავსტრიისა და ევროპის უშიშროების სხვა ასპექტების შესახებ" თათბირის წარმატებისათვის".

შემდეგ ნოტაში ნათქვამია:

„ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ავსტრიის უშიშროების ინტერესებსაც შეეხებამება. მეორე მსოფლიო ომის წინ ავსტრია მსხვერპლი გახდა აგრესიისა მილიტარისტული გერმანიის მხრივ, რომელმაც დაიპყრო ავსტრია ანშლუსის გზით. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და ყოფილი ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნის გეგმებმა, რომლებიც გათვალისწინებულია პარიზის შეთანხმებებით, არ შეიძლება არ გააძლიეროს იმის საფრთხე, რომ მილიტარისტული დასავლეთი გერმანია განახორციელებს ავსტრიის ანშლუსს, რაც ახალ დაბრკოლებებს ქმნის ავსტრიის საკითხის სამშოლიო მოწესრიგების გზაზე".

საბჭოთა მთავრობის ნოტებს ზემოაღნიშნული ქვეყნების მთავრობებისადმი დართული აქვს სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციის ტექსტი, რომელიც მიიღო ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირმა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ 1954 წლის 2 დეკემბერს და რომელსაც მხარი დაუჭირა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ.

# საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა ნორვეგიის მთავრობისადმი

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, საბჭოთა მთავრობის 13 ნოემბრის ნოტაზე ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის სრულიად ევროპის თათბირის მოწყობის შესახებ მიღებულ იქნა ნორვეგიის, დანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, იტალიის, საბერძნეთის, თურქეთისა და ისლანდიის 29 ნოემბრის საპასუხო ნოტები.

17 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნორვეგიის საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის შემდეგი ნოტა ნორვეგიის მთავრობისადმი:

„საბჭოთა მთავრობა გაეცნო ნორვეგიის მთავრობის 29 ნოემბერს მიღებულ პასუხს სსრ კავშირის მთავრობის ამა წლის 13 ნოემბრის ნოტაზე, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მისი წინადადება, რომ მოსკოვში ან პარიზში 29 ნოემბერს მოწვეული ყოფილიყო სრულიად ევროპის თათბირი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე, და საჭიროდ მიაჩნია ნორვეგიის მთავრობის ყურადღება მიაქციოს შემდეგს.

# საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა ავსტრიის მთავრობისადმი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა, რომელთა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის ქვეყნების თათბირში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც მოსკოვში გაიმართა 29 ნოემბერს — 2 დეკემბერს, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, რომლის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა თათბირში როგორც მეთვალყურე.

ტექსტი ევროპის ქვეყნების მთავრობათა დეკლარაციისა, რომელიც მიიღო მოსკოვის თათბირმა და რომელიც გამობატავს მათს თვალსაზრისს ევროპაში ამჟამად შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, დართული აქვს ამ ნოტას".

ანალოგიური ნოტები გაეგზავნა დანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, იტალიის, საბერძნეთის, თურქეთისა და ისლანდიის მთავრობებს.

---

## სამმართველოდან — დაზგასთან

# საქარხნო პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ აღ რამდენიმე ხნის წინათ გამოჰყო კომუნისტთა დიდი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ინჟინერები, ტექნიკოსები, ეკონომისტები და აღრიცხვის სპეციალისტები. ამ ჯგუფმა შეისწავლა ქარხნის სამმართველო აპარატისა და საამქროების მუშაობა. გამოირკვა, რომ საქარხნო სამმართველოში ზედმეტი რგოლებია აღრიცხვაში, გართულებულია ქაღალდების გაფორმება. ქარხნის 26 განყოფილებიდან 377 ფორმის შევსება უხდებათ, გაჭიანურებულია რაციონალიზატორული წინადადებებისათვის პრემიების გამოანგარიშება, დაკვეთების გაფორმება და ა. შ.

ყველა 377 საღრიცხვო ფორმის შევსების აუცილებლობამ, მიმოწერის სიხშირემ გაჩოიწვია ქარხნის სამმართველო აპარატის გაზრდა.

კომუნისტების ჯგუფმა სამმართველო აპარატის მუშაობის გამარტივებისა და გაუმჯობესებისათვის შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც შემდეგ განხილულ იქნა ქარხნის ღია პარტიულ კრებაზე. ადმინისტრაციამ მოიწონა კომუნისტების წინადადება სამმართველო აპარატის გამარტივებისა და გაჯანსაღების შესახებ.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს აგრეთვე საქარხნო აპარატის მოწინავე მუშაკებმა. ბევრმა ნათგანმა სურვილი გამოთქვა სამმართველოდან სამუშაოდ გადავიდეს დაზგაზე, დაეუფლოს საწარმოო პროფესიას. ბევრი უკვე გადავიდა საამქროებში და შეუდგა სხვადასხვა პროფესიის შესწავლას.

საქარხნო სამმართველოს აპარატიდან ამჟამად უკვე განთავისუფლებულია 30 მუშაკი. უფროსი ხუხჭალტერი შ. ბარახუსტი საამქროში გადავიდა და გრავიორობას სწავლობს, ა. ბოლოტინი, რომელიც დისპეტჩერად მუშაობდა, ხარატობას სწავლობს, ხოლო დისპეტჩერმა ვ. შუმილინმა უკვე დაიწყო მუშაობა ხარატად.

# საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა ნორვეგიის მთავრობისადმი

ბელგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა, რომელთა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის ქვეყნების თათბირში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც მოსკოვში გაიმართა 29 ნოემბერს — 2 დეკემბერს, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, რომლის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა თათბირში როგორც მეთვალყურე.

ტექსტი ევროპის ქვეყნების მთავრობათა დეკლარაციისა, რომელიც მიიღო მოსკოვის თათბირმა და რომელიც გამობატავს მათს თვალსაზრისს ევროპაში ამჟამად შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, დართული აქვს ამ ნოტას".

ანალოგიური ნოტები გაეგზავნა დანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, იტალიის, საბერძნეთის, თურქეთისა და ისლანდიის მთავრობებს.

---

ჰპოვა ლენინის მოძღვრებამ ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის, სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ.

დიდმა ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა საკითხი მუშათა კლასის კავშირისა გლეხობის ძირითად მასებთან მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლით. ი. ბ. სტალინი მტკიცედ იცავდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინურ იდეას ტროცკისტულ-ბუხარინული მტრული ხროვის თავდასხმებისაგან და პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებთან ერთად უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლენინის იდეების თანმიმდევრულ განხორციელებაში. კომუნისტურმა პარტიამ გამოჭედა მუშათა კლასის მტკიცე კავშირი მშრომელ გლეხობასთან, გადააქცია იგი იმ გადამწყვეტ ძალად, რომელმაც უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება. ეს დიადი ძალა წარმოადგენს კომუნიზმის მშენებლობის სახელოვან გზაზე ახალ წარმატებათა წყაროს.

ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველად შეიმუშავა პარტიის თეორია, პროგრამა და ტაქტიკა ეროვნულ საკითხში, ცხადყო, რომ ეროვნული საკითხი შემადგენელი ნაწილია მუშათა კლასის საერთო რევოლუციური ბრძოლისა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, სოციალიზმისათვის. იგი ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის სულისჩამდგმელი იყო. ლენინის საპროგრამოდებულებებმა ეროვნულ საკითხში შემდგომი შემოქმედებითი განვითარება ჰპოვა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებში, პარტიის გადაწყვეტილებებში. ი. ბ. სტალინი დაუცხრომლად შრომობდა სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განსამტკიცებლად, ამაში ხედავდა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველი ძალის წყაროს.

ეყრდნობოდა რა მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომებს, რომლებმაც შექმნეს ნამდვილად მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია, სტალინმა ისტორიული განვითარების ახალი გამოცდილების, მუშათა კლასისა და მისი კომუნისტური პარტიის ბრძოლის ახალი პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე წამოაყენა და განავითარა მთელი რიგი ახალი დებულებანი ეკონომიური მეცნიერების დარგში.

ხელმძღვანელობდა რა ლენინის მითითებებით იმპერიალიზმის ეკონომიური არსის შესახებ, სტალინმა ჩამოაყალიბა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი კანონი, მოგვცა დაწვრილებითი ანალიზი კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისისა, რომელიც მოიცავს კაპიტალიზმის როგორც ეკონომიკას, ისე პოლიტიკას.

მარქსი და ენგელსი წინასწარ ხედავდნენ, რომ სოციალიზმის დროს გეგმაშეწონილად ორგანიზებული წარმოების მიზანი იქნება საერთოდ საზოგადოებისა და თვითეული მისი წევრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ლენინი წერდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების შეცვლა სოციალისტური საზოგადოებით განხორციელდება „მისი ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად" (თხზ., ტომი 6, გვ. 15). ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა სოციალიზმის დროს მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობის გზები, წარმოების გაფუწყვეტელი ზრდის, უმაღლესი ტექნიკის განვითარებისა და გამოყენების პროგრამა. ამით ლენინმა მოგვცა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის ამოსავალი დებულებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას. მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომებში მოცემულ ამოსავალ დებულებებზე დაყრდნობით სტალინმა ჩამოაყალიბა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი და საბჭოთა მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი.

ი. ბ. სტალინის შრომებში შემდგომ დამუშავებულია ლენინის დებულებანი მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის მეთოდების შესახებ, ღირებულების კანონისა და ფულის გამოყენების საჭიროების, სამეურნეო ანგარიშის, თავიანთი შრომის შედეგით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის შეს

# დაიხურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-9 სესია

## საბოლოო პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. (საკადესი სპეც. კორ.). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის საბოლოო პლენარული სხდომა.

გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტის მთელი რიგი რეკომენდაციები და, კერძოდ, რეზოლუცია „იძულებითი შრომის“ შესახებ. როგორც უკვე ვიუწყებოდით, „იძულებითი შრომის“ საკითხი გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეიტანეს ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით. ამ საკითხის განხილვა იყო ნაწილი ცილისწამებისა და სიძულვილის კამპანიისა, რომელსაც ამჟამად შეერთებული შტატები ეწევიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ფართოდ იყენებენ რა ამ უსმაგვანი მიზნისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

რეზოლუციის დამტკიცების წინააღმდეგ ხმა მისცეს სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა. 10 დელეგაციამ, მათ შორის არაბთა და აზიის ქვეყნების დელეგაციებმა, კენჭისყრაში თავი შეიკავა. ასამბლეის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ამ საკითხის განხილვის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ცილისწამებით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა გომინდანელმა. მისი სიტყვა იმდენად უხეში და თავხედური იყო, რომ ასამბლეის თავმჯდომარე იძულებული გახდა შეენერვიანა იგი და სიტყვა წაერთმია. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა საქმისმა ენერგიული პროტესტი გააცხადა იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ავრცელებენ ინსინუაციებს დიდი ჩინელი ხალხის მიმართ, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლები აქ არ არიან.

შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ განიხილა სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის მოხსენება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ფლოტის პასუხისმგებლობის საკითხზე. სსრ კავშირის დელეგაციამ ისევე როგორც სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში, გენერალური ასამბლეის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვდა დაგმობილ იქნას აგრესიული მოქმედება, საფრთხეს რომ უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას შორეულ აღმოსავლეთში, და ურჩევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია ამ რაიონში შექმნილი მდგომარეობისათვის, მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ასეთი აგრესიული მოქმედების შესაწყვეტად. ამ საკითხზე გამოსულმა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შემოტანა რა გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის განსახილველად „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების და ამ მოქმედებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის პასუხისმგებლობის“ საკითხი, საბჭოთა დელეგაცია ხელმძღვანელობდა მისწრაფებით ხელი შეუწყოს იმ პრობლემის რაც შეიძლება მალე მშვიდობიან მოწესრიგებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის დაცვისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, რათა მოაწესრიგოს გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხები და ამ შემთხვევაში აღკვეთოს აგრესიული მოქმედება, რომელსაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის.

საქმე ეხება ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას, რომელიც მიმართულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებისა და სუვერენული უფლებების წინააღმდეგ, მოქმედებას, რომელიც დიდი ჩინელი ხალხისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის კანონიერ აღშფოთებას იწვევს.

ჩინეთის სუვერენულ უფლებათა და შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა ხელში ჩაიგდეს ჩინეთის ტერიტორია — კუნძულები ტაივანი და პენხულედაო, რითაც პირდაპირ ჩაერივნენ ჩინეთის საშინაო საქმეებში და გამოიყენეს ძალის მუქარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული ხელშეუხებლობის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ეს აქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სხვა რამედ, თუ არა სერიოზულ სამხედრო პროვოკაციად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, რასაც საშიში შედეგები მოჰყვება მშვიდობის საქმისათვის.

ტაივანისა და ჩინეთის ზღვების რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების აგრესიული მოქმედების შედეგად, თქვა შემდეგ ა. ა. სობოლევმა, იქმნება საშიში მდგომარეობა, რომლისთვისაც პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ წრეებს, რომლებიც ომის ახალ კერად აქცევენ ტაივანის რაიონს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია შეურიგდეს ასეთ მდგომარეობას და უნდა მიიღოს საჭირო ღონისძიებანი შორეულ აღმოსავლეთში ვითარების ნორმალიზაციისათვის, აგრესიის აქტების შესაწყვეტად და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა დასაცავად.

უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში მხარი დაუჭირეს საბჭოთა დელეგაციის წინადადებას. საბჭოთა კავშირის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდნენ ამერიკის დელეგატი და ჩანკაიშელი. თავიანთ სიტყვებში ისინი კი არ უარყოფდნენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, არამედ ამართლებდნენ ამ მოქმედებას.

გენერალურმა ასამბლეამ ხმის უმრავლესობით უარყო საბჭოთა დელეგაციის წინადადება, რომლის მიზანი იყო ის, რომ შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ და შენელდეს დაძაბულობა შორეულ აღმოსავლეთში.

ამის შემდეგ ასამბლეამ განიხილა ჩინეთის ზღვების რაიონში ნაოსნობის თავისუფლების დარღვევის საკითხი და რეზოლუცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ თავს მოაბვია სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტს. გამოვიდა რა ამ საკითხზე, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა თქვა, რომ, საბჭოთა კავშირის დელეგაციის აზრით, გენერალურ ასამბლეას შეუძლია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება განსახილველ საკითხზე იმ სახით, რა სახითაც იგი წარმოადგინა სირიის დელეგაციამ. მაგრამ, აღნიშნა სობოლევმა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, რომელსაც არ ძალუძს უარყოს ჩანკაიშელთა მეკობრეობის ფაქტები, მიმართა მაწვრის იმ მიზნით, რომ დაასამაროს ეს საკითხი. იხსნას ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის სავაჭრო გემებზე თავდასხმაში და ხელი შეუშალოს დაინტერესებულ ქვეყნებს დაიცვან თავიანთი კანონიერი ინტერესები. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ინიციატივით ასამბლეაში წარმოდგენილია რეზოლუციის პროექტი, რომელიც, გვერდს უვლის რა საკითხის არსს, ითვალისწინებს, რომ სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი ანგარიშებსა და დოკუმენტებს, რომლებიც ამ საკითხის განხილვის შეეხება, ფორმალურად გადასცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიას, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს განსახილველ საკითხთან. საბჭოთა კავშირის დელეგაცია, თქვა დასასრულ სობოლევმა, გადაჭრით გმობს მეკობრეობის გამართლების ცდებს. ხმის უმრავლესობით ამერიკის რეზოლუცია დაამტკიცეს.

შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა პოლიტიკური კომიტეტის რეზოლუცია მაროკოსა და ტუნისის საკითხებზე. ორივე რეზოლუცია მიიღეს ხმის დიდი უმრავლესობით, ამასთან არც ერთ დელეგაციას არ მიუცია ხმა წინააღმდეგ. როგორც ცნობილია პოლიტიკურ კომიტეტში ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კოლონიური საბელმწიფოების დელეგაციებმა ხმა მისცეს მაროკოს საკითხზე შეტანილი რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელიც, მიუხედავად ამისა, კომიტეტმა მოიწონა. ამასთან იმ ქვეყნების მხ შვნელოვანმა ჯგუფმა, რომლებიც ჩვეულებრივ ამერიკის პოლიტიკის გზს მისდევენ, არ დაუჭირა მხარი ამერიკის შეერთებულ შტატების პოზიციას.

აშკარად არ უნდოდა რა იზოლირებული დარჩენილიყო, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ მხარი დაუჭირა დღეს ამ რეზოლუციას, რომლის წინააღმდეგ მან ხმა მისცა კომიტეტში. ამერიკის დელეგაციის მაგალითს მიჰაყეს აგრეთვე სხვა დელეგაციებმა, რომლებმაც კომიტეტში ხმა მისცეს მაროკოს საკითხზე შეტანილი რეზოლუციის წინააღმდეგ (ინგლისის, ოლანდიის, ბელგიის, ავსტრალიის, ლუქსემბურგისა და სხვა ქვეყნების დელეგაციებმა).

გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა აგრეთვე ადმინისტრაციულ და სამეურნეო საკითხთა კომიტეტის რეზოლუციები, რომლებიც ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსა და მის პერსონალს, ბიუჯეტის ზოგიერთ საკითხს, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 10 წლისთავის დღესასწაულის დაფინანსების ხარჯთაღრიცხვას. თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წინადადებისა, რომელიც მოიწონეს გენერალურმა კომიტეტმა და ადმინისტრაციულ და სამეურნეო საკითხთა კომიტეტმა, ეს დღესასწაული მოეწყობა სანფრანცისკოში 1955 წლის 20-26 ივლისს.

რეზოლუცია ურჩევს ყველა ქვეყანას ეს თარიღი გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და მუშაობის პოპულარიზაციისთვის.

მას შემდეგ, რაც გენერალური ასამბლეის დღის წესრიგი ამოიწურა, ასამბლეის თავმჯდომარემ ვან კლეფენსმა მე-9 სესია დახურულად გამოაცხადა.

# ДАМТАВРДА ЧРДИЛОЕТ АТЛАНТИКИС КАВШИРИС САБЧОС СЕСИА

პარიზი, 18 დეკემბერი. (საკადესი). ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სესიამ, რომელიც გუშინ გაიხსნა პარიზის შაიოს სასახლეში, პრაქტიკულად დაამთავრა მუშაობა. დღეს დილით გაიმართა საბოლოო სხდომა, რომელის შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭომ მოიწონა სამხედრო კომიტეტის მოხსენება, რაც საფუძვლად დაედება იმ სამხედრო გეგმებისა და ღონისძიებების დამუშავებას, რომლებიც ამ სამხედრო ბლოკში შემავალ ქვეყნებში ხორციელდება.

კომუნიკეს ავტორებმა კვლავ სცადეს გამალებული შეიარაღებისა და ახალი ომის მომზადების პოლიტიკა გაემართლებინათ მსჯელობით „სსრ კავშირის განუწყვეტლივ მზარდი სამხედრო ძლიერების“ შესახებ და ყალბი მტკიცებით, თითქოს სსრ კავშირის ძლიერება „საფრთხეს“ უქმნიდეს დასავლეთის ქვეყნებს.

კომუნიკე ცხადყოფს, რომ დასავლეთის ქვეყნების, და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს დაამტკიცებინონ პარლამენტებს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ და განაგრძონ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ. პარიზის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭომ არაჩვეულებრივი სისწრაფით დაამთავრა მუშაობა და ხაზს უსვამენ იმას, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იდენის, დალესისა და მენდეს-ფრანსის თათბირებს. პრესის ცნობებით, ისინი უწინარეს ყოვლისა განიხილავენ იმის უზრუნველყოფის საშუალებებს, რომ ეროვნულმა კრებამ დაამტკიცოს პარიზის შეთანხმებანი. დამახასიათებელია, რომ გუშინ საუზმეზე, რომელიც საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა ატლანტიკის კავშირის საბჭოს სესიის მონაწილეთა პატივსაცემად გამართა, იყვნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა კომისიის მომხსენებლები პარიზის შეთანხმებათა შესახებ გენერალი ბიიოტი, იზორნი, ვანდრუ, აგრეთვე პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიების თავმჯდომარეები დანიელ მეიერი და მარსელ პლეზანი. კარგად არის ცნობილი, რომ გენერალი ბიიოტი, იზორნი და დანიელ მეიერი პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის აქტიური მომხრეები არიან.

დღეს გაიმართება იდენის, დალესისა და მენდეს-ფრანსის ახალი თათბირი. როგორც პარიზის გაზეთები აღნიშნავენ, ამ თათბირზე განხილული იქნება სამი საკითხი: პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და მდგომარეობა ინდოჩინეთში.

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის მიმართვა დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატებისადმი

ბერლინი, 17 დეკემბერი. (საკადესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ იოჰანეს დიამანმა დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის თავმჯდომარეს ჰერმანნ 


ენმაიერს გაუგზავნა წერილი, რომელიც სთხოვს გაიკრძოს ბუნდესტაგის დეპუტატებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის მიმართვა, რომელიც დართული აქვს წერილს. მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმი, ხელმძღვანელობს რა გერმანელი ხალხის ეროვნული სასიცოცხლო ინტერესებით და მშვიდობის შენარჩუნებისადმი მისწრაფებით, კვლავ მტკიცე მოწოდებით მიმართავს ბუნდესტაგის ყველა დეპუტატს... როგორც ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირზე აღინიშნა, შეთანხმებანი, რომლებსაც პარიზში ხელი მოწერეს დასავლეთის სახელმწიფოებისა და დასავლეთ გერმანიის მთავრობებმა, ახალი სერიოზული დაბრკოლებაა გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის გზაზე და ამწვავებენ საერთაშორისო მდგომარეობას ევროპაში. ეს შეთანხმებანი ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და მის შეყვანას ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ცალმხრივ მილიტარისტულ დაჯგუფებაში, რომელიც მიმართულია სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ და აგრესიულ მიზნებს ისახავს. ამით ეს შეთანხმებანი არა მარტო გზას უხშობენ გერმანიის გაერთიანებას, არამედ აგრეთვე დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების გამო უშუალო საფრთხეს უქმნიან ევროპის ყველა ხალხის უშიშროებას.

უცხოთის შეიარაღებული ძალების მიერ დასავლეთ გერმანიის ოკუპაციის შენარჩუნება, რაც გათვალისწინებულია ამ შეთანხმებებით, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, ხელს უშლის გერმანელ ხალხს გამოიყენოს თავისი ეროვნული თვითგამორკვევის უფლება...

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 9 დეკემბრის ნოტაში დასავლეთის სახელმწიფოებისადმი, უსაფრთხოებას ნაკლებ ნოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკებას გერმანიის გაერთიანების შესახებ და გამორიცხავს ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას...

მოსკოვის თათბირმა დასახა გერმანიის საკითხისა და ევროპის ყველა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრის გზა. ეს არის ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის გზა, სისტემისა, რომელიც გამორიცხავს გერმანიის მილიტარიზმის — მშვიდობის მოსისლე მტრის — აღორძინებას და გერმანიის ერთ-ერთი ნაწილის მონაწილეობას ცალმხრივ მილიტარისტულ დაჯგუფებაში. ამით შეიქმნებოდა ხელსაყრელი წინაპირობები გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გზას დაადგება, გერმანიას შეუძლია გახდეს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელსაც პატივს სცემს ყველა სხვა სახელმწიფო...

დასასრულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმი მოუწოდებს ბუნდესტაგის დეპუტატებს იხელმძღვანელონ თავიანთი პასუხისმგებლობით გერმანელი ხალხის წინაშე, გამოიყენონ ჯერ კიდევ არსებული შესაძლებლობანი გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების მისაღწევად და მშვიდობის შესანარჩუნებლად და არ მისცეს ხმა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებებს, არამედ მოითხოვონ მოლაპარაკება გერმანიის ორივე ნაწილს შორის იმის შესახებ, რომ 1955 წელს მოეწყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები, მოითხოვონ ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა, რომელშიც შევა ევროპის ყველა სახელმწიფო, მათ შორის გერმანიაც.

# პარიზის შეთანხმებათა განხილვა საფრანგეთის ეროვნული კრების კომისიებში

პარიზი, 17 დეკემბერი. (საკადესი). პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის პროექტი, რომელსაც ახლა განიხილავს საფრანგეთის ეროვნული კრების ზოგიერთი კომისია, სულ უფრო დიდ სიძნელეებს აწყდება. მას შემდეგ, რაც ეროვნული თავდაცვის კომისიამ ხმების უმრავლესობით უარყო ლუტენონ-ლაკის მოხსენება, რომელმაც მხარი დაუჭირა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, კომისიის არც ერთი წევრი არ დათანხმდა მოემზადებინა მოხსენება ამ შეთანხმებათა მხარდასაჭერად. კომისიის მომხსენებლად არჩეული იყო რადიკალი ვენსან ბადი, რომელიც რატიფიკაციის წინააღმდეგია. დღეს იგი ფიქრობს თავისი მოხსენება განსახილველად გადასცეს კომისიას.

პენსიების საკითხთა და ყოფილ ფრონტელების საქმეთა კომისიამ უარყოფითი აზრი გამოთქვა პარიზის შეთანხმებათა დამტკიცებით კონვენციის გამო, რაც ეხება ყოფილ გადასახლებულთა ზოგიერთ საკითხს.

განათლების საკითხთა კომისიამ პირველად მოხსენების გაკეთება დაავალა კომუნისტ ტამიოს. მაგრამ მისი დასკვნები კულტურულ საკითხთა კონვენციის რატიფიკაციის წინააღმდეგ, რაც დართული აქვს პარიზის შეთანხმებებს, უარყოფილ იქნა ხმების უმრავლესობით. მიუხედავად ამისა კომისიის არც ერთმა წევრმა არ მოამზადა მოხსენება რატიფიკაციის სასარგებლოდ. ამიტომ კომისიამ საერთოდ უარი თქვა თავისი აზრი გამოთქვა ამ საკითხზე.

ეკონომიურ საკითხთა კომისიამ მოიწონა დეპუტატ ოტგის მოხსენება რატიფიკაციის შესახებ, მაგრამ ამ მოხსენებას ხმა მისცა მხოლოდ 10 კაცმა 44 კაციდან, რაფანაც 7 დეპუტატმა ხმა მისცა წინააღმდეგ, 10 დეპუტატმა თავი შეიკავა, ხოლო კომისიის 17 წევრი საერთოდ არ დასწრებიან სხდომას.

პარლამენტის წრეებში წარმოიშვა იდეა გადაიდოს კამათი, რომელიც დანიშნულია 20 დეკემბრისათვის. საარის საკითხში ბონის მთავრობის აშკარად მტრულ პოზიციასთან დაკავშირებით, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩენილია ბუნდესტაგში ადენაუერის გამოსვლის შემდეგ, გენერალმა ოტერანმა („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“) შეიტანა წინადადება კამათის გადადების შესახებ.

# პარიზის სამხედრო შეთანხმებათა შესახებ ბონის კამათის შედეგები

ბერლინი, 17 დეკემბერი. (საკადესი). ბონის ბუნდესტაგში გუშინ დამთავრდა ორი დღის კამათი პარიზის სამხედრო შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხზე.

ბონის მთავრობის პარტიების ლიდერთა გამოსვლებმა კამათის განმავლობაში, აგრეთვე შემდეგ მომხდარი კენჭისყრის შედეგებმა პარიზის სამხედრო შეთანხმებათა საკითხზე ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ბონის ხელისუფლებს სრულებითაც არ აინტერესებთ მოლაპარაკება გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისა და სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ.

როგორც პრესა იუწყება, მთავრობის პარტიების ბლოკმა 236 ხმით 153 ხმის წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა) უარყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის წინადადება, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია გადაედოთ გერმანიის გაერთიანების საკითხზე ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკებამდე. პარიზის სამხედრო შეთანხმებანი ბუნდესტაგმა მიიღო პირველი წაკითხვით და გადასცა ბუნდესტაგის კომისიებს.

იმ პროცედურის თანახმად, რომელიც მიღებულია ბონის ბუნდესტაგში, კანონ-პროექტების პირველი წაკითხვის შემდეგ არ ხდება კენჭისყრა, ხოლო კანონპროექტები (ამ შემთხვევაში პარიზის შეთანხმებანი) განსახილველად გადაეცემა ბუნდესტაგის კომისიებს. თუ კომისიებმა მოიწონეს პარიზის სამხედრო შეთანხმებანი, მაშინ გაიმართება შეთანხმებათა მეორე წაკითხვა, რომლის დროსაც დეტალურად განიხილავენ შეთანხმებათა ცალკე პუნქტებს. მხოლოდ მესამე წაკითხვისას მოხდება შეთანხმებათა საბოლოო განხილვა მთლიანად და რატიფიკაციის საკითხისათვის კენჭისყრა.

ბუნდესტაგში მეორე და მესამე წაკითხვის თარიღები ჯერ არ დაუწესებიათ. 17 დეკემბრიდან ბუნდესტაგი დათხოვნილია არდადეგებზე, 8 იანვრამდე.

# „დინამოს“ სტადიონზე, სასპორტო დარგაზეგში, მოედნეგზე

საქართველოს ფიზკულტურელები ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავს მრავალი საინტერესო და მასობრივი შეჯიბრებით აღნიშნავენ. დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართება საჩვენებელი გამოსვლები და შეჯიდრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში — მოეწყობა შეჯიბრება ფეხბურთში, კალათბურთში, ჰიდაობაში, ძალოსნობაში, კრივში, ჭადრაკში...

„დინამოს“ სტადიონზე შედგება 2 მატჩი ფეხბურთში სპორტსმენთა ახალგაზრდა კოლექტივების მონაწილეობით. კალათბურთელთა გუნდების შეჯიბრება „დინამოს“, ქალაქის უმაღლესი სასწავლებლებისა და თბილისის გაწათლების განყოფილების გუნდების მონაწილეობით გაიმართება თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სასპორტო დარბაზში, თბილისის უძლიერესი ფრენბურთელები ერთმანეთს შეხვდებიან „პიშჩევიკის“ სასპორტო დარბაზში. აქვე მოეწყობა შეჯიბრება კრივში. „დინამოს“ ზამთრის საცურავ აუზში შედგება მატჩი წყალბურთში „დინამოს“ პირველ და ქალაქის ახალგაზრდობის გუნდებს შორის, მოეწყობა შეჯიბრება ცურვაში.

„ლოკომოტივის“ სასპორტო დარბაზში გაიმართება შეჯიბრება კლასიკურ და თავისუფალ ჰიდაობაში, ჰიდაობა სამბოში და ქართულ ჰიდაობაში მსოფლიოს, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონების მონაწილეობით. აქ შედგება აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს ძალოსანთა გამოსვლები ახალი რეკორდების დასამყარებლად.

„დინამოს“ სასპორტო დარბაზში თბილისის ტანმოვარჯიშეები აჩვენებენ სხვადასხვა იარაღებზე ვარჯიშს. ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში და თბილისის ოფიცერთა სახლში შედგება ერთდროული თამაშის სეანსები, ბლიცტურნირები. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე გაიმართება გუნდური ველორბოლა.

დილის 11 საათზე ლენინის მოედანზე სტარტი მიეცემა მოტოგადარბენას მარშრუტით — თბილისი—გორი—თბილისი.

# საბჭოთა მოჰიდავეების გამარჯვება ეგვიპტეში

18 დეკემბერს ალექსანდრიაში გაიმართა მეორე საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება კლასიკურ ჰიდაობაში საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის სპორტსმენთა ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა მოჰიდავეები შეხვდნენ ალექსანდრიის სპორტსმენთა ნაკრებ კოლექტივს. შეჯიბრება 7 წონითს კატეგორიაში მიმდინარეობდა. საბჭოთა ორმა მოჰიდავემ მანეეევმა და ნიკოლაევმა სუფთა გამარჯვება მოიპოვეს, დანარჩენებმა შეხვედრა ქულებით მოიგეს.

ამრიგად, საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის კლასიკურ მოჰიდავეთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 7:0.

ალექსანდრიაში საბჭოთა სპორტსმენებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

# ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 22 და 23 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ჩრდილოეთ სანაპირო რაიონებში მცირე ნალექი, დანარჩენ რაიონებში უნალექოდ. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 13-18 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა—3 გრადუსი სითბო, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 9-14 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა

(1953 წლის 8 აგვისტოს)

## ოფიციალური სხვადასხვა

მოგებათა მე-2 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1954 წლის 12 დეკემბერს ქალაქ ორიოლში, მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|
| 140082 | 1—50 | 200 | 149064 | 1—50 | 200 |
| 140095 | 1—50 | 200 | 149095 | 1—50 | 500 |
| 140109 | 1—50 | 200 | 149171 | 1—50 | 200 |
| 140154 | 1—50 | 200 | 149538 | 1—50 | 200 |
| 140293 | 1—50 | 200 | 150450 | 1—50 | 200 |
| 140336 | 46*) | 1.000 | 150452 | 1—50 | 200 |
| 140433 | 1—50 | 200 | 150490 | 06*) | 1.000 |
| 140503 | 07*) | 1.000 | 150625 | 41*) | 1.000 |
| 140564 | 39*) | 5.000 | 150665 | 10*) | 1.000 |
| 140568 | 1—50 | 500 | 150739 | 49*) | 5.000 |
| 140577 | 46*) | 1.000 | 150761 | 1—50 | 200 |
| 140809 | 1—50 | 200 | 150928 | 38*) | 5.000 |
| 141134 | 1—50 | 200 | 151107 | 1—50 | 200 |
| 141135 | 45*) | 1.000 | 151112 | 14*) | 1.000 |
| 141296 | 1—50 | 200 | 151114 | 1—50 | 200 |
| 141632 | 1—50 | 200 | 151300 | 1—50 | 200 |
| 141646 | 1—50 | 200 | 151320 | 16*) | 1.000 |
| 141675 | 38*) | 1.000 | 151380 | 1—50 | 200 |
| 141727 | 1—50 | 200 | 151436 | 05*) | 1.000 |
| 141800 | 1—50 | 200 | 151741 | 1—50 | 200 |
| 142047 | 1—50 | 500 | 151767 | 17*) | 1.000 |
| 142062 | 1—50 | 200 | 151958 | 1—50 | 200 |
| 142176 | 21*) | 1.000 | 152014 | 22*) | 1.000 |
| 142308 | 31*) | 1.000 | 152031 | 1—50 | 200 |
| 142314 | 1—50 | 200 | 152070 | 1—50 | 200 |
| 142525 | 1—50 | 200 | 152091 | 1—50 | 200 |
| 142657 | 17*) | 1.000 | 152110 | 1—50 | 200 |
| 142818 | 1—50 | 200 | 152118 | 35*) | 1.000 |
| 142859 | 1—50 | 200 | 152156 | 1—50 | 200 |
| 143121 | 1—50 | 200 | 152205 | 11*) | 5.000 |
| 143409 | 21*) | 1.000 | 152221 | 1—50 | 200 |
| 143492 | 1—50 | 500 | 152377 | 1—50 | 200 |
| 143647 | 31*) | 1.000 | 152602 | 1—50 | 200 |
| 143873 | 1—50 | 200 | 152804 | 19*) | 1.000 |
| 143902 | 1—50 | 200 | 152894 | 1—50 | 200 |
| 143912 | 1—50 | 200 | 153271 | 1—50 | 200 |
| 144250 | 1—50 | 200 | 153313 | 1—50 | 500 |
| 144287 | 1—50 | 200 | 153483 | 1—50 | 200 |
| 144295 | 08*) | 5.000 | 153750 | 1—50 | 200 |
| 144424 | 1—50 | 200 | 153854 | 01*) | 5.000 |
| 144455 | 03*) | 1.000 | 154051 | 1—50 | 200 |
| 144515 | 1—50 | 200 | 154461 | 1—50 | 200 |
| 144711 | 1—50 | 200 | 154541 | 1—50 | 200 |
| 144802 | 1—50 | 200 | 154652 | 42*) | 1.000 |
| 144924 | 1—50 | 200 | 154706 | 31*) | 1.000 |
| 144952 | 21*) | 1.000 | 154763 | 11*) | 1.000 |
| 145228 | 1—50 | 200 | 155063 | 1—50 | 200 |
| 145263 | 11*) | 1.000 | 155290 | 1—50 | 200 |
| 145448 | 09*) | 1.000 | 155438 | 18*) | 1.000 |
| 145556 | 21*) | 1.000 | 155766 | 43*) | 1.000 |
| 145572 | 09*) | 5.000 | 155891 | 07*) | 1.000 |
| 145605 | 22*) | 1.000 | 156010 | 30*) | 1.000 |
| 145635 | 38*) | 1.000 | 156056 | 1—50 | 200 |
| 145960 | 36*) | 1.000 | 156139 | 1—50 | 200 |
| 146148 | 27*) | 5.000 | 156170 | 26*) | 1.000 |
| 146154 | 1—50 | 200 | 156367 | 1—50 | 200 |
| 146465 | 10*) | 1.000 | 156371 | 1—50 | 200 |
| 146510 | 1—50 | 500 | 156385